F567 ✓ 3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სპუტნიკის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 2 (139)

თებერვალი,

1966 წელი

გველოდე, მთვარევ!


საბჭოთა მეცნიერების და ტექნიკის ახალი დიდი გამარჯვება


კოსმოსურმა რაკეტა-სადგურმა — „ლუნა-9“, რომელიც 31 იანვარს გაუშვეს მთვარისაკენ, მოძრაობდა რა დასახული ტრაექტორიის ზუსტი დაცვით, 3 თებერვალს მიაღწია მთვარის ზედაპირს და ნარნარად დაჯდა მის ზედაპირზე ქარიშხალთა ოკეანის რაიონში. ამით დაძლეულია უდიდესი ტექნიკური სიძნელეები, რადგან მთვარის ზედაპირზე ხელსაწყოების საიმედოდ დაჯდომისათვის უნდა უზრუნველგვეყო მათი ვარდნის საკმაოდ მცირე სიჩქარე და საჭირო მომენტში მოგვეხდინა დამუხრუჭება.

კაცობრიობის ისტორიაში ეს უჩვეულო, ერთადერთი ღონისძიების წარმატება ცხადყოფს, რომ საბჭოთა ტექნიკამ მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, როდესაც შეიძლება დარწმუნებით ვილაპარაკოთ მთვარეზე მუდმივი ობსერვატორიის აგების შესახებ, აგრეთვე სხვა პლანეტებზე, უწინარეს ყოვლისა, მარსზე, ანალოგიური ხელსაწყოების გაშვების შესახებ.

რა მეცნიერული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მთვარეზე იმ ხელსაწყოების დაჯდომას, რომლებიც დედამიწაზე სხვადასხვა ინფორმაციას გადმოსცემენ? უწინარეს ყოვლისა ჩვენი თანამგზავრის შემდგომი შესწავლის წარმატებისათვის საჭიროა გავიგოთ, როგორია მთვარის ზედაპირის თვისებები, რომელზეც რამდენიმე

(დასასრული მე-2 გვერდზე).





სურათებზე: ზემოთ — კოსმოსური სადგური „ლუნა-9“ მთვარეზე (ნახატი); ქვემოთ — მთვარის ზედაპირის ფოტოსურათი, რომელიც გადმოსცა „ლუნა-9“-მ.

გველოდე, მოვარევ!

(დასასრული).

მილიარდი წლის მანძილზე გავლენას ახდენენ კოსმოსური სხივები, მზის გრიგალები, მეტეორიტები და რის შედეგად მან მიიღო სრულიად უჩვეულო ფიზიკური თვისებები და, როგორც ჩანს, შესამჩნევი ელექტრული მუხტი აქვს. უნდა განვსაზღვროთ მთვარის მასალის სიმტკიცის ხარისხი და მისი სითბოგამტარობა, რაც საჭიროა შემდგომი ღონისძიებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მთვარეზე ობსერვატორიის მოწყობასთან, რათა შესაძლებლობა გვქონდეს გარკვეულ სიღრმეზე დავიცვათ გარე ზემოქმედებისაგან. შემდეგ არსებითად უნდა შევამოწმოთ, არის თუ არა მთვარეზე რაიმე ატმოსფერო, რამდენადაც მძიმე გაზები, რომლებიც ვულკანური მოქმედების შედეგად გამოიყოფა, უეჭველია, შეიძლება იყოს მთვარის გრავიტაციულ ველზე. შევნიშნავთ, რომ, თუ მართლაც ინერტული გაზები, ისეთები, როგორიც არის კრიპტონი და ქსენონი, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, დედამიწის ატმოსფეროში მზის გრიგალებს შემოაქვთ, უეჭველია უნდა შეგვხვდეს აგრეთვე მთვარის ზედაპირზე, რის შემოწმებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა მთვარის მასალების ცალკეული ნიმუშების კვლევა, რათა შევუდაროთ ისინი ეგრეთწოდებულ ტექტიტებს — მინის მეტეორიტებს, რადგან ყველაზე გავრცელებული აზრის თანახმად, ასეთი მეტეორიტები მთვარიდან დედამიწაზე ცვივა და ვრცელ ფართობზე იბნევა სხვადასხვა რაიონში.

თავისთავად ცხადია, რომ მთვარეზე დადგმული ხელსაწყოები გადმოგვცემენ აგრეთვე ინფორმაციებს სხვადასხვანაირ კოსმოსურ მოვლენებზე, რომლებიც მიუწვდომელია დედამიწიდან დაკვირვებისათვის დედამიწის ატმოსფეროს მაეკრანიზებელი მოქმედების შედეგად.

როგორც ვხედავთ, დედამიწის მეზობელ კოსმოსურ სხეულზე პირველ დაჯდომას დიდი მნიშვნელობა აქვს და მეცნიერების წინაშე სახავს უაღრესად ფართო ჰორიზონტებს.

აკადემიკოსი **ვ. ფესენკოვი.**

ამგეგი დედა-სამშობლოდან

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

მარგანეცის მადნის ამოღების და გამდიდრების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვისათვის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „ჭიათურის მარგანეცის“ ტრესტი დაჯილდოებულია **ლენინის ორდენით.**

ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის წარმატებით აშენებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის საგზირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილგზირაბმშენის“ კოლექტივი დაჯილდოებულია **ლენინის ორდენით.**

ორასი მილიონი ქილა

საქართველოს საკონსერვო ქარხნების პროდუქცია საღდება შორეულ ჩრდილოეთში და ცხელ უზბეკეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ კონსერვზე პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კუბაში, ინგლისში, ისლანდიაში, შვეციაში, ირანში, ლიბანში...

„საქკონსერვტრესტის“ 35 ქარხანა უშვებს 120-ნაირ ბოსტნეულისა და ხილის კონსერვს, აგრეთვე ნატურალურ წვენებს, ხილ-კენკრის ღვინოებს, საკონდიტრო წარმოებისათვის საჭირო მასალებსა და სხვა ნაწარმს, თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ტრესტის მთავარმა ინჟინერმა **ა. ე. ჩიგოგიძემ.**

წელს გათვალისწინებულია გამოვუშვათ 200 მილიონი ქილა კონსერვი. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია, 17 ქარხანა — მახარაძის, ზუგდიდის, ბათუმის მეციტრუსეობის კომბინატი და სხვები განაგრძობენ მუშაობას. სულფიდირებული ხილისა და კენკრისაგან — ქლიავისაგან, კომშისაგან, ხენდროსაგან ისინი ამზადებენ მურაბას, ჯემსა და ხილფაფას. უშვებენ აგრეთვე ციტრუსის ნაყენებს, ყურძნის წვენს, ხილ-კენკრის ღვინოებს, მასალებს საკონდიტრო წარმოებისათვის.

დანარჩენ საკონსერვო ქარხნებში ემზადებიან კაპიტალური რემონტისა და მომავალი საწარმოო სეზონისათვის. ამ დროისათვის მწყობრში ჩადგება გორის ახალი საკონსერვო ქარხნის მთავარი კორპუსი. აქ დაიდგმება გაუმჯობესებული მოწყობილობა, კერძოდ, ამუშავდება ნატურალური წვენების ავტომატური ხაზი, რომელიც დღე-ღამეში 60 ტონა ხილს გადაამუშავებს, მწვანე ბარდის გამოსაშვები ხაზი და სხვ. ახალი ქარხნის სიმძლავრე უკვე წლევანდელ სეზონში 41 მილიონი ქილა კონსერვი იქნება.

საკონსერვო მრეწველობის მოქმედ საწარმოთა რიცხვში შედიან ახალი საწარმოები, ფართოვდება და რეკონსტრუირდება ძველი ქარხნები.

მთავრდება აგარის საკონსერვო ქარხნის მთავარი კორპუსის მშენებლობა, რომელმაც წელიწადში 21,5 მილიონი ქილა კონსერვი უნდა გამოუშვას. საწარმოო სეზონის დამდეგს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამტრედიის ქარხნის მთავარი კორპუსი. გარდაბნის ქარხანა რეკონსტრუქციის შემდეგ დასპეციალდება ბოსტნეულის კონსერვების გამოშვებაზე.

მალე გამოუშვებენ ახალ კონსერვებს — „სალათი ზამთარი“, „სალათი ზაფხული“, „სალათი ასორტი“, „ჩახოხბილი“, დაკონსერვებული ბადრიჯანი.


კოლხეთის ვენეცია

...არხები. მზის ოქროსფერი ანარეკლებით აჭრელებული, ისინი ქალაქის ქუჩების სწორი ხაზებით მიედინებიან მრავალსართულიანი საცხოვრებელი კვარტალების გაყოლებით. მრავალია აქ არხი, პატარა და დიდი. ყველაზე დიდია — მაგისტრალური, რომელსაც ზღვაში მიაქვს მდინარე რიონის ღვარ-ქაფიანი და მღვრიე წყალი. მისი სიგრძე ოთხიოდე კილომეტრია, სიგანე — 18 მეტრი. მასში შემავალი „წყლის ქუჩების“ საერთო სიგრძე თითქმის 200-მდე კილომეტრია. რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთებული, ისინი გარდი-გარდმო სერავენ ამ ახლო წარსულში დაჭაობებულ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, და ამიტომ უწოდებენ ქ. ფოთის ამ ახალ რაიონს „კოლხეთის ვენეციას“.

სულ უფრო ღამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ახალშენების რაიონი. არხების ორივე ნაპირის გაყოლებით გაშენდება ყვავილნარების სანაპიროები. მდინარის ტრამვაი და ტაქსები იქროლებენ ქალაქის სამდინარო მაგისტრალებზე, მის ცენტრს საზღვაო პორტს დაუკავშირებენ. ფეხით მოსიარულეთათვის თაღიანი ხიდები გადაიჭიმება არხებზე.

ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის ბევრი რამ უკვე სინამდვილედ იქცა. ათი კვადრატული კილომეტრი გამოგლიჯეს ჭაობს. „კოლხეთშენის“ მშენებლებმა სამი წლის განმავლობაში. ახალ რაიონში უკვე აშენდა ახალი სკოლის სამსართულიანი შენობა, საბავშვო ბაღი, ხუთი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 6000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს ფოთელებმა ამ რაიონში. ახალი შენობების პირველ სართულში მოეწყობა მაღაზიები, სასადილო, კაფე, საყოფაცხოვრებო სხვადასხვა სალონი.

სურათზე: ფოთის ახალი რაიონი — „კოლხეთის ვენეციის“ ერთ-ერთი კუთხე.



მემკვიდრეობის უფლება

უცხოეთის იურიდიულ კოლეგიაში მოდის წერილები, რომლებშიც საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები გვეკითხებიან, თუ როგორია მემკვიდრეობის მიღების უფლებები და წესი, აგრეთვე ქონებრივი სამართალი სსრ კავშირში.

მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილია:

„მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათს შრომითს შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნებზე, ისე როგორც მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება — დაცულია კანონით“.

უცხოელებს სსრ კავშირში საკუთრების ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც საბჭოთა მოქალაქეებს. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი, ანაბრები ბანკებში, ყოველგვარი საოჯახო, საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნები, ავტომანქანები და ა. შ., აგრეთვე დადონ კანონით ნებადართული ყველა გარიგება ამ ქონების გამგებლობა-განკარგულების შესახებ.

მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას მემკვიდრეობითი უფლებები შეადგენს. მემკვიდრეობის გადაცემა ხორციელდება როგორც კანონის საფუძველზე, ისე ანდერძით მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მთელი ქონების მიმართ.

თვითეულ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, ან არ დატოვოს ანდერძი და კანონს მიანდოს თავისი ქონების განაწილება მემკვიდრეებს შორის.

საბჭოთა კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე შეზღუდვას იმ ფულადი თანხების ოდენობის მიმართ, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას მემკვიდრეობით. უფრო მეტიც, სსრ კავშირში არ არის გადასახადი მემკვიდრეობაზე, ამიტომ სამემკვიდრეო ქონება და სამემკვიდრეო თანხები მემკვიდრეზე გადადის სახელმწიფო გადასახადით დაუბეგრავად, გარდა სანოტარო ბაჟისა, რის გადახდევინება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები მემკვიდრეობაზე უფლების მოწმობას ნოტარიუსთან მიიღებენ.

საბჭოთა მოქალაქეებს უფლება აქვთ არა მარტო იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც სსრ კავშირში წარმოიქმნება, არამედ დაუბრკოლებლად მიიღონ სამემკვიდრეო თანხები საზღვარგარეთიდან. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობით მიღების ურთიერთობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონის მიხედვით, სადაც მემკვიდრეობის მიმღების უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო. თუ, ვთქვათ, კანადის სასამართლომ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად გამოიტანა გადაწყვეტილება მემკვიდრეობა გაუნაწილდეთ სსრ კავშირში მცხოვრებ კონკრეტულ პირებს, სამემკვიდრეო თანხები მიეცემათ მხოლოდ ამ პირებს და სასამართლოს მიერ მითითებული ოდენობით.

საზღვარგარეთიდან საბჭოთა მოქალაქეების სასარგებლოდ მოსული სამემკვიდრეო თანხები მათი ოდენობის მიუხედავად აგრეთვე არ იბეგრება არავითარი გადასახადებით და მთლიანად გადაეცემა მემკვიდრის განკარგულებაში.

მაგალითად, 1964 წელს საფრანგეთიდან მიღებულ იქნა სამემკვიდრეო თანხები 26.838 ფრანგული ფრანკის ოდენობით მარიამ დემენტიევას საქმის გამო, რომელიც 1962 წელს ნიცაში გარდაიცვალა. ეს თანხები მემკვიდრეობის დამტოვებლის სამ დისწულს, რომლებიც გორკის ოლქში ცხოვრობენ, მიეცათ რაიმე სახელმწიფო გადასახადის გადაუხდევინებლად.

1954 წელს ინგლისში გარდაიცვალა სიბილა ფრუდი, რომელმაც დატოვა ანდერძი მოსკოვში მცხოვრები თავისი დის სასარგებლოდ. 1964 წლის მაისში მის სახელზე მოვიდა 9.400-ზე მეტი ინგლისური გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა არ დაბეგრილა სახელმწიფო გადასახადით, ისევე როგორც არ დაბეგრილა გადასახადებითა და გამოსაღებებით მის მიერ ამ მემკვიდრეობით მიღებული ძვირფასეულობა (ფარღულები, ბეჭდები, მედალიონები, საყურეები და ა. შ.).

1959 წლის სექტემბერში ჩიკაგოში (ილინოისის შტატი, აშშ) გარდაიცვალა ვინცენტ სიმკუსი. მისი ანდერძის შესაბამისად 100.000 დოლარზე მეტი მიღებულ იქნა უცხოეთის იურიდიულ კოლეგიაში და მიეცა ლატვის სს რესპუბლიკაში მცხოვრებ მის ძმას.

სამემკვიდრეო თანხები საბჭოთა მოქალაქეების სასარგებლოდ საბჭოთა მემკვიდრეებს საზღვარგარეთიდან ეგზავნებათ ჩვეულებრივი საბანკო არხებით და შედის სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში. მემკვიდრის სურვილით ეს თანხები მას შეიძლება მისცეს ან მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკმა ან მისი დავალებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამისმა განყოფილებამ მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამემკვიდრეო თანხებს გასცემს ბანკი საბჭოთა ვალუტით — გადახდის კურსის მიხედვით. სამემკვიდრეო თანხების მიმღებს უფლება აქვს თავისი სურვილით გახსნას სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ანგარიში თავის სახელზე უცხოეთის ვალუტით. ამ შემთხვევაში ის თანხები, რომლებიც მიღებულია, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ამერიკული დოლარებით ჩაირიცხება იმ პირის ანგარიშზე, რომლის სახელზეც ეს თანხები გადმოგზავნილია. ასეთი სავალუტო ანგარიშის მფლობელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს მის ანგარიშზე ჩარიცხული დოლარები, კერძოდ, საჭონლის საყიდლად სსრ კავშირში გახსნილ მაღაზიებში, რომლებიც უცხოეთის ვალუტაზე ვაჭრობენ.

მაგალითად, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა შ-მ და ხ-მ 1965 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღეს სამემკვიდრეო თანხები თავიანთი მამის მემკვიდრეობიდან. მათი მამა ჯონ მოროზი გარდაიცვალა 1955 წლის მარტში ფენიქსში (არიზონის შტატი, აშშ). მათ შეიძინეს ოთხი მსუბუქი მანქანა „მოსკვიჩ-408“, ტელევიზორი „რუბინი“, მაცივარი „სარატოვი“. გარდა ამისა, თვითეულმა მემკვიდრემ გადაწყვიტა 2.000 დოლარის საქონელი შეეძინა უცხოეთის ვალუტაზე მოვაჭრე მინსკის მაღაზიაში. დანარჩენი ფული კი მათ ხელზე მიიღეს.

1963 წლის მაისში ქალაქ კასისში (საფრანგეთი) გარდაიცვალა ალისა ბერესტოვსკაია. მის ერთადერთ მემკვიდრედ ცნობილ იქნა იჟევსკის მცხოვრები ძმისწული ვ. 1965 წლის აგვისტოში მის სახელზე მოვიდა 230.000 ფრანგული ფრანკი. მიღებული სახსრების ნაწილით ვ-მ „ვნეშპოსილტორგის“ მეშვეობით ვალუტაზე შეიძინა ავტომანქანა „ვოლგა“, მაცივარი „ზილ“, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. გარდა ამისა, მემკვიდრემ ვალუტაზე შეიძინა სანატორიუმის საგზურები თავისი ვაჟისა და მამისათვის. 27.128 ფრანკის ეკვივალენტი გადაყვანილ იქნა მანეთობით მის ანგარიშზე ქალაქ იჟევსკის შემნახველ სალაროში, დანარჩენი თანხა მან სავალუტო ანგარიშზე დატოვა.

ჩიკაგოში (აშშ) გარდაიცვალა ამერიკის მოქალაქე ლეონარდ მაცასი. მას დიდი მემკვიდრეობა დარჩა. 1965 წლის აპრილში მისი ძმის სახელზე, რომელიც ლიტვის სს რესპუბლიკაში ცხოვრობს, მიღებულ იქნა 152.685 დოლარი. 2.600 დოლარად მემკვიდრემ შეიძინა და თავის ნათესავებს აჩუქა მსუბუქი ავტომანქანები. გარდა ამისა, მან გადაწყვიტა თავისი ცხრა ძმისწულისა და დისწულისათვის ეჩუქებინა 42.000 მანეთი, 7.000 მანეთი ნაღდ ფულად მიიღო და პირად საჭიროებისათვის დახარჯა, დანარჩენი თანხა კი ჩააირიცხვინა თავის პროცენტიან ანგარიშზე შემნახველ სალაროში.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რათა გვეჩვენებინა, რომ საბჭოთა მოქალაქენი საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილ სამემკვიდრეო აქტივებს განაგებენ თავიანთი პირადი შეხედულებისამებრ, ისევე როგორც სსრ კავშირში წარმოქმნილ მემკვიდრეობებს.

ასეთია ძირითადად საბჭოთა მოქალაქეების სამემკვიდრეო უფლებანი.

რა სამემკვიდრეო უფლებებით სარგებლობენ სსრ კავშირში უცხოელები?

როგორც უკვე ვთქვით, უცხოელები სსრ კავშირში სარგებლობენ იმავე ქონებრივი და სამემკვიდრეო უფლებებით, რითაც საბჭოთა მოქალაქენი, იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობენ უცხოელები — საბჭოთა კავშირში თუ მის ფარგლებს გარეთ. აი რამდენიმე მაგალითი.

ქალაქ ლვოვში (უკრაინის სსრ) ცოლთან ერთად ცხოვრობდა ი. ს. მაკარევიჩი — ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სამი შვილი საზღვარგარეთ იმყოფება. ვაჟიშვილი რ. ი. მაკარევიჩი ამერიკის მოქალაქეა და ლოს-ანჟელოსში ცხოვრობს. მეორე ვაჟიშვილი — ე. ი. მაკარევიჩი და ქალიშვილი ს. ი. ციბულსკაია პოლონეთის მოქალაქენი არიან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ცხოვრობენ. 1955 წელს პროფესორი მაკარევიჩი გარდაიცვალა. ანდერძი არ დაუტოვებია. მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება კანონის მიხედვით უნდა განაწილებულიყო. საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ განსვენებულის ქვრივი საბჭოთა მოქალაქე ი. ბანაშჩიკი

———

(დასასრული მე-7 გვერდზე).


გადახედე







სურათებზე: ზემოთ — თბილისი, აკ. წერეთლის პროსპექტი; ქვემოთ, მარცხნივ — როიალთან არის ელისო ვირსალაძე.



სურათებზე: ზემოთ — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი მარცხნიდან, მარჯვნივ) ლადო გუდიაშ, ელგუჯა ამაშუკელი, კონსტანტინე ჯორდია და ირაკლი აბაშიძე სტუმრად ბავშვებთან; მარცხნივ — ამ გზას ჩვენ მივყავართ; ქვემოთ — ჩაის სა მანქანებს „საქართველოს“ ამზადებელი სეზონისათვის; მარჯვნივ — სცენიდან სვანი მომღერლები.



დე დედა-საქართველოს






სურათზე ზემოთ: ჭიათურის მოწინავე მაღაროელთა ერთი ჯგუფი.



შოთა რუსთაველის მარცხნიდან, მარჯვნივ, ელგუჯა ამაშუკელურდია და ირაკლი ლდიაშვილთან; მარცნისაკენ მივყავართ; მანქანებს „საქართველო სეზონისათვის; ნიან სვანი მომღერ-





სურათზე: საქართველოში ოდითგანვე მისდევენ მეცხოველეობას, კერძოდ მეცხვარეობას. ცხვრის ფარები, როგორც ახლა მათ უწოდებენ „თეთრი ქარავნები“ ჩვენი მთიანი პეიზაჟის განუყოფელი ნაწილია.

მამულიშვილი

პავლე ხუჭუას დაბადების 60 წლისთავი

გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე ხუჭუა იმ შემოქმედთა წინა რიგშია, თავის დაუღალავი შრომით გზას რომ უკაფავდნენ ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას. მეცნიერი-მკვლევარი, პედაგოგი, კრიტიკოსი, მუსიკის პოპულარიზატორი და საზოგადო მოღვაწე პ. ხუჭუა გატაცებითა და ჭეშმარიტი თავდადებით ემსახურება მშობლიური კულტურის აღმავლობის კეთილშობილურ საქმეს.

ჯერ კიდევ ჩვენმა საამაყო დიდმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა მიაქცია ყურადღება სანდომიანი გარეგნობის ხიჭიერ მუსიკოსს, ახალგაზრდა პავლე ხუჭუას. დიდი კომპოზიტორისა და ახალბედა მუსიკოსის მეგობრობა ვიოლინომ განაპირობა, რომელსაც იმხანად უკრავდა პავლე ხუჭუა. მისი საშემსრულებლო ნიჭის გარდა, ნათელი გონება მუსიკის შესწავლის სფეროში შეამჩნია ზაქარია ფალიაშვილმა და ურჩია პ. ხუჭუას ამ გზას გაჰყოლოდა. ამ საინტერესო დარგის სპეციალისტები საქართველოში ფაქტიურად არ იყვნენ და პ. ხუჭუას გაუკვალავი გზით მოუხდა სიარული. დღეს, როცა ამ გზას გაჰხედავთ და გაკაფულ ფართო შარას შეამჩნევთ, უპირველესად ყოვლისა მადლიერების გრძნობით გევსებათ გული პ. ხუჭუას შემოქმედებისადმი.

ახალგაზრდა მუსიკოსი მიემგზავრება ლენინგრადს, ამთავრებს კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის განყოფილებას და ბრუნდება საქართველოში. სხვადასხვა დროს პ. ხუჭუა მუშაობს ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში, მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში, ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის უმაღლესი მუსიკალურ სასწავლებელთა განყოფილების უფროსად, თბილისის კონსერვატორიის დირექტორის მოადგილედ, თეორიულ-საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანად, კითხულობს ლექციებს დასავლეთ ევროპისა და რუსული მუსიკის ისტორიის შესახებ.

პ. ხუჭუა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუსიკათმცოდნეობის სექციის აქტიური წევრია. იგი სისტემატურად გამოდის მოხსენებებით კომპოზიტორთა კავშირის პლენუმებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე თბილისში, მოსკოვში, კიევში, ერევანში.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სიმფონიური ორკესტრის აღდგენისა და საქმიანობის წარმართვაც მის სახელთან არის დაკავშირებული. მისი თაოსნობითვე მოეწყო პროკოფიევისა და მიასკოვსკის შემოქმედებითი საღამოები, აყვირდა შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია. ამავე პერიოდში რესპუბლიკის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუსიკალური განყოფილების უფროსობისას პ. ხუჭუას ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი და სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. სამი ათეული წლის მანძილზე პ. ხუჭუა პირნათლად ემსახურება მუსიკის მეცნიერული კვლევის რთულ და სასიქადულო საქმეს. დიდი ადგილი მის შემოქმედებაში განკუთვნილი აქვს ეროვნულ, ქართულ მუსიკას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კაპიტალური მონოგრაფია „მელიტონ ბალანჩივაძე“ ქართულ და რუსულ ენებზე, და შრომა „ზაქარია ფალიაშვილი“ ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე.

„ქართული მუსიკის ხალხური საწყისები“ ინგლისურ ენაზე, „ქართული ბალეტი“, „მთების გული“, „ა. მაჭავარიანის ოტელო“, „საბჭოთა საოპერო დრამატურგიის ძირითადი საკითხები“, „ქართული საბჭოთა ოპერა და ბალეტი“, „საქართველოს მუსიკალური კულტურა“ და მრავალი სხვა ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროსა და მრავალ ენაზე, ქართველი მკვლევარის საქმიანობის არასრულ პორტრეტს წარმოადგენს.

პავლე ხუჭუას 60 წელი შეუსრულდა. ქართველი საზოგადოებრიობა სხარულით ულოცავს ამ თარიღს მუსიკოსს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს.

ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ეწვია და ესაუბრა პავლე ხუჭუას.

— როგორია ქართული მუსიკის განვითარების გზები, ნიშანდობლიობა, ხასიათი?

— უპირველესად ყოვლისა მსურს აღვნიშნო ქართველი ერის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება. სასიხარულოა, რომ ბოლო ათ-თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენი სიმღერები მსოფლიომ გაიცნო.

საქართველოს უფროსი თაობის კომპოზიტორები მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ი. ჯაბადარი, ვ. დოლიძე არა მარტო კრებდნენ ხალხურ სიმღერებს, არამედ პრაქტიკულადაც იყენებდნენ მათ თავიანთ შემოქმედებაში. ამ კომპოზიტორებმა მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე ააგეს ქართული პროფესიული მუსიკის ძვირფასი ნიმუშები. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართულ სიმფონიურ სკოლას, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ზ. ფალიაშვილი. უფროსი თაობის კომპოზიტორები უმთავრესად ვოკალური მუსიკის დარგში მუშაობდნენ (სიმღერა, რომანსი, საგუნდო პიესა, ოპერა). ეს გასაგებია, რადგან მუსიკისა და სიტყვის სინთეზი გაორკეცებულ გავლენას ახდენს ადამიანზე.

ბევრი რამ, რაც ქართული მუსიკის სტილსა და თავისებურებას განეკუთვნება, მაგალითად, მღერადობა, მელოდიურობა, რეალისტურობა და ყოფითობა, მკვეთრად გამოვლინდა ამ კომპოზიტორების შემოქმედებაში. საბედნიეროდ, ეს კარგი საფუძველი, რომელიც უფროსი თაობის წარმომადგენლების ნამოღვაწარია, ოციანი წლების შემდეგ კარგად გააღრმავეს მომდევნო თაობებმა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ საბჭოთა კომპოზიტორები ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე, რ. ლაღიძე და სხვები. ეს მომდევნო თაობა მდიდარ ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებზე აღიზარდა და მასთან ერთად აითვისა ის პროგრესული და ღირსშესანიშნავი, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუქმნიათ მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო კომპოზიტორებს. სწორედ ამ თაობის დამსახურებაა, რომ დღეს ქართულ მუსიკაში გვაქვს მრავალმხრივ საყურადღებო სიმფონიები, სიმფონიური სურათები და პოემები, კანტატა-ორატორიები, კონცერტები, ოპერები, ოპერეტები, სხვადასხვა კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრის ნაწარმოებები. საშუალო თაობის კომპოზიტორთა შემოქმედება ეროვნულია და ამავე დროს მას ახასიათებს ახალი მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებების გაცილებით მეტი და გაბედული გამოყენება.

ოცდაათიან წლებში ადგილი ჰქონდა ბუნებრივად წარმოშობილ ბრძოლას იმის თაობაზე, თუ რას უნდა წარმოადგენდეს წმინდა ეროვნული მუსიკა. მუსიკის მოღვაწეთა ერთი ნაწილი მტკიცედ იცავდა ქართული მუსიკის ვიწროდ გაგებულ სტილის ნიშნებს, ძაგრამ მეტნი ამბობდნენ, რომ დადგა ეროვნული მუსიკის რაობის უფრო ფართო გაგების დრო და გულისხმობდნენ მუსიკალური მეტყველების არა ხელოვნურ გართულებას, არამედ მუსიკალური ენის თანამედროვე, ზოგადსაკაცობრიო და ამავე დროს პროგრესული სამუსიკო მიღწევებით გამდიდრებას. თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რაოდენ მართალი გამოდგნენ უკანასკნელნი.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ბოლო ხანებში გამოჩნდნენ და დაწინაურდნენ დიდი შემოქმედებითი პოტენციის, ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორები — ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე, ნ. მამისაშვილი, ვ. აზარაშვილი, ნ. ვაწაძე.

ქართული მუსიკა თანდათან იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. ინტერესი ჩვენი მუსიკისადმი დღითიდღე იზრდება. და მჯერა, რომ ხვალ ქართულ მუსიკას დღევანდელზე უფრო მეტი მსმენელი ეყოლება.

— რა მეცნიერულ თემებზე მუშაობთ დღეს?

— ამჟამად ვწერ ქართული სიმფონიისადმი მიძღვნილ ვრცელ შრომას. გასაგებია, რომ ამ ჟანრში მსოფლიოს ჰყავს ტიტანები ბეთჰოვენი, მალერი, ბერლიოზი, ბრუკნერი, მაგრამ ისინი თავიანთი სიმფონიების იდეათა ზოგად-საკაცობრიო ხასიათის მიუხედავად ეროვნული კომპოზიტორები არიან.



ჩემს ნაშრომში მე შევეცდები აღვწერო ქართველი კომპოზიტორების ეროვნული მუსიკალური სახე და ამავე დროს მათ მიერ ახალი სამუსიკო ხერხებისა და საშუალებების გამოყენება. ჩემი კვლევის და დაკვირვების საგანია ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძისა და ს. ნასიძის სიმფონიები.

ამასთან ერთად ვაგროვებ მასალებს მომავალი მონოგრაფიისათვის „რიხარდ შტრაუსი“.

— რას გვეტყვით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მუშაობასა და გეგმებზე?

— ამ საზოგადოების თავმჯდომარეობა უაღრესად პასუხსაგებ და სასიამოვნო მოვალეობად მომაჩნია. არა მგონია არსებობდეს ქართველი, რომელსაც გულის სიღრმეში სინანული არა ჰქონდეს იმის გამო, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი ერის ზოგიერთი შვილი სხვადასხვა გარემოებათა შედეგად სამშობლოსაგან დაშორებით ცხოვრობს. თუ ამ ადამიანთა წასვლა მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული, ისევე ჩამოსვლაც მათი ნება-სურვილის საქმეა. მაგრამ ვიდრე გარე ქართველობა მოკლებულია მშობლიურ წიაღში არსებობის ბედნიერებას, ჩვენი საზოგადოების წმიდა მოვალეობად მიმაჩნია ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მამულიშვილური გრძნობების გაღვივებას.

სამწუხაროა, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობა მოკლებულია საშუალებას ნიჭი და უნარი მოახმაროს სამშობლოს კეთილდღეობას. ის, ვინც გვეწვია, პირადად დარწმუნდა საბჭოთა საქართველოს აღორძინებასა და აყვავებაში. წელს განზრახული გვაქვს ოცდაათამდე თანამემამულის საქართველოში მოპატიჟება, უცხოეთში ნამოღვაწარი მუსიკოსების, მხატვრების, პოეტების, მეცნიერების ნაშრომთა გამოცემა.

გვსურს საფრანგეთიდან გადმოვასვენოთ ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის ნეშტი, რომელიც დიდუბის პანთეონში ქართულ მიწას უნდა მივაბაროთ.

ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი საზოგადოების ალალი მიმართვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველთადმი ძმურ გამოძახილს ჰპოვებს მათს გულსა და გონებაში. ამით ჩვენ შევასრულებთ უაღრესად ჰუმანურ და ეროვნულ საქმეს — ქართველთა განმტკიცება — გაერთიანების საქმეს.

ზ. რცხილაძე.



სურათებზე: ზემოთ — პავლე ხუჭუა თავის პატარა გოგონასთან ერთად; ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ — ცნობილი ამერიკელი პიანისტი ვან კლაიბერნი, კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი და პავლე ხუჭუა.

წერილი არგენტინიდან

პატივცემულო რედაქტორო!

მსურს როგორც პირადად თქვენ, ისე რედაქციის ყველა თანამშრომელს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ მეტად კეთილშობილური და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული გაზეთის გამოშვებაში, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გულწრფელად მოგილოცოთ ახალი 1966 წელი.

გთხოვთ ყველას: ნუ მიატოვებთ ამ პატრიოტულ საქმეს, ნუ დაივიწყებთ უცხოეთში გადახვეწილ უბედურ მამულიშვილებს. პირადად მე ამიერიდან ამ ძვირფას გაზეთს შანდ — თბილისში წავიკითხავ, რადგან 26 იანვრიდან მე უკვე საბჭოთა მოქალაქე ვიქნები.

საბედნიეროდ, 26 იანვარს თავდება ჩემი ოცი წლის დამამცირებელი წოდება უსამშობლო, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ადამიანისა. მხოლოდ ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ვერ შევძელი გასულ წელს დავბრუნებულიყავი სამშობლოში, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს გასაბჭოების 45 წლისთავს თბილისში შევხვდები.

1941 წლის 25 თებერვალს მე, როგორც სამხედრო სასწავლებლის კურსანტმა, მონაწილეობა მივიღე სამხედრო აღლუმში. მაშინ 26 წლის ახალგაზრდა ვიყავი, ძალღონითა და ხალისით სავსე. დღეს ბედნიერი ვარ იმით, რომ შემდეგ დროინდელი პერიოდი ჩემი ცხოვრებისა წარსულს ბარდება და შესაძლებლობა მეძლევა სხვა ახალგაზრდობის — მომავალი თაობის გაღიმებულ სახეებს ვუცქირო თბილისში.

ჩემმა ადრე გამოგზავნილმა წერილმა, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა, ბევრი ჩემი ნაცნობი გამოაღვიძა. მეუბნებიან: ბედნიერი ხარ, საქართველოში რომ ბრუნდებიო. როცა ვეკითხები, თუ რატომ კარგავენ თვითონ ამ ბედნიერებას, ისინი მიპასუხებენ: ასეთი უხეირო ტანსაცმლით სამშობლოში როგორ ჩავიდეთო.

სიმართლე მოგახსენოთ, თუმცა უმუშევარი არასოდეს ვყოფილვარ, ერთი კოსტუმის მეტი არც მე გამაჩნია, რადგან ჩემი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სხვა უფრო აუცილებელ საჭიროებას ვახმარდი მუდამ. თუ სერიოზულად ვიფიქრებთ იმაზე, რომ ჩაცმულობით დაგვიწუნებენ სამშობლოში, მაშინ არც მე და არც ჩემსავით გადაკარგულ ქართველთა უმრავლესობას არასოდეს არ გვეღირსება ის ბედნიერება, რომელიც დღეს მე მომენიჭა.

მინდა გადაგიხადოთ დიდი გულწრფელი მადლობა და ბოდიშს ვიხდი, თუ ამას კარგად ვერ ვახერხებ. ამდენი წლის განმავლობაში გადავეჩვიე ხეირიანი ქართულით ლაპარაკსა და აზროვნებას. მადლობას გიხდით ჩვენდამი გამოჩენილი მზრუნველობისათვის, რადგან მე და ჩემსავით გაუბედურებულ მრავალ თანამემამულეს სისტემატურად გვიგზავნიდით თქვენს გაზეთს, გვაგებინებდით საყვარელი სამშობლოს ამბებს და მორალურად გვამხნევებდით. ყოველთვის გთხოვთ ნუ დაივიწყებთ აქ დარჩენილ სხვა თანამემამულით, რომელნიც იმედია ადრე თუ გვიან ჩემსავით ეღირსებიან ბედნიერებას.

შოთა თარხნიშვილი,
23 იანვარი 1966 წელი.
არგენტინა.

ცხრა საავტორო მოწმოგა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი დოცენტ ა. კეჩხუაშვილის ხელმძღვანელობით მრავალი წლის განმავლობაში ამუშავებს ბაღებსა და ვენახებში ძირითად შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის სიზუსტის გადიდების თეორიულ საფუძვლებს. შექმნილია მთელი რიგი ორიგინალური საშუალებანი და მოწყობილობანი ტრაქტორის აგრეგატებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ავტომატური მართვისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ვიდრე ავტომატურად მართულ მანქანებს შექმნიდნენ, მკვლევარებმა გამოიმუშავეს ზოგიერთი მათემატიკური საფუძველი ექსპერიმენტების განსახორციელებლად. უკვე 1960 წელს კეჩხუაშვილს პირველი საავტორო მოწმობა მისცეს იმ ხელსაწყოს შექმნისათვის, რომლის საშუალებითაც მიღებულია საჭირო მონაცემები ავტომატურად მართული ტრაქტორის შესაქმნელად — მანქანის მოძრაობის ტრაექტორია, მანძილი ხეებსა და ვაზებს შორის, დაუშუშავებელი ზოლის ფართობი და სხვ.

შემდეგში უკრაინის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად მან შეიმუშავა თელიანი ტრაქტორის დტ-14-ის ავტომატური მართვა, დამოუკიდებლად შექმნა სპეციალური მოწყობილობა მანქანების სადისტანციო მართვისათვის, და, ბოლოს, განხორციელდა კულტივატორებისა და დტ-20 სავენახე მუხლუხა ტრაქტორის ავტომატური მართვა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტმა ა. კეჩხუაშვილს ცხრა საავტორო მოწმობა მისცა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლაბორატორიებში უახლოეს წლებში შექმნილი ავტომატურ მოწყობილობათა საექსპერიმენტო ნიმუშები დაინერგება სახალხო მეურნეობაში.

მემკვიდრეობის უფლება

(დასასრული).

და მასთან ერთად უცხოელები — ამერიკის მოქალაქე რ. მაკარევიჩი და პოლონეთის მოქალაქენი ე. მაკარევიჩი და ს. ციბულსკაია. სამემკვიდრეო ქონება თანაბრად განაწილდა მათ შორის, ხოლო ის თანხები, რომლებიც უცხოელ მემკვიდრეებს ერგებოდათ, გადაიგზავნა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1963 წელს ტალინში (ესტონეთის სსრ) გარდაიცვალა საბჭოთა მოქალაქე მ. რენინგი. მან დატოვა ანდერძი, სადაც თავის ერთადერთ მემკვიდრედ დაასახელა ამერიკის მოქალაქე ჯოზეფინა კერმი, რომელიც ნიუ-იორკის შტატში ცხოვრობს, ანდერძის შესაბამისად ამერიკის მოქალაქე ცნობილ იქნა მ. რენინგის ქონების მემკვიდრედ და 1965 წლის სექტემბერში მიიღო მისთვის ნაანდერძევი თანხა.

საბჭოთა კავშირში დადგენილია წესი, რომლის მიხედვით სამემკვიდრეო თანხები, რომლებიც უცხოელებს ერგებათ, სსრ კავშირიდან საზღვარგარეთ დაუბრკოლებლივ იგზავნება, შესაბამისი უცხო სახელმწიფოს მხრივ ნაცვალგების არსებობისას.

1960 წელს მოსკოვში გარდაიცვალა საბჭოთა მწერალი თამარ გაბე. გარდა ქონებისა, განსვენებულს მოსკოვის შემნახველ სალაროში ორ ანაბარზე ჰქონდა მნიშვნელოვანი თანხა. ერთადერთ მემკვიდრედ კანონის მიხედვით ცნობილ იქნა მისი და — ფინეთის მოქალაქე ელენე ლუოსტარინენი, ქალაქ ჰელსინკის მცხოვრები. მან მიიღო მოწმობა მემკვიდრეობის უფლებისა, რომლის შესაბამისადაც ჰელსინკში გადაეგზავნა 5.611.088 ფინური მარკა.

საბჭოთა სასამართლო და სანოტარო ორგანოების პრაქტიკაში სამემკვიდრეო საქმეების განხილვის დროს არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სამემკვიდრეო ქონების მიღების უფლებაზე უარი ეთქვათ უცხოელისათვის იმ მოტივით, რომ მემკვიდრე უცხოელი მოქალაქეა.

როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ დაიცვან სსრ კავშირში ქონებრივი უფლებანი, როგორც პირადად, ისე თავიანთი წარმომადგენლების (რწმუნებულების) — საბჭოთა ადვოკატების მეშვეობით.

ადვოკატურა სსრ კავშირში ნებაყოფლობითი, თვითმმართველი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ადვოკატები საბჭოთა კავშირში გაერთიანებული არიან ადვოკატთა რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო კოლეგიებად.

უცხოეთის იურიდიული კოლეგია ადვოკატთა სპეციალიზებული კოლექტივია. იგი აწარმოებს საბჭოთა მოქალაქეების სამემკვიდრეო და ქონებრივ საქმეებს უცხო სახელმწიფოებში და ახორციელებს უცხოელ მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დაცვას სსრ კავშირში.

უცხოეთის იურიდიული კოლეგია უშუალოდ უკავშირდება უცხოელ მოქალაქეებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საზღვარგარეთ, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებებს სსრ კავშირში.

საბჭოთა მოქალაქეების საზღვარგარეთ არსებული ქონებრივი ინტერესების დასაცავად მუშაობას უცხოეთის იურიდიული კოლეგია ეწევა თავისი კორესპონდენტების — ადვოკატთა ფირმების მეშვეობით, რომლებსაც უფლება აქვთ სასაძართლო და სხვა ორგანოებში აწარმოონ უცხოელთა სამოქალაქო საქმეები.

ბევრ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ისრაელში, შვეიცარიაში და სოციალისტურ ქვეყნებში, არსებობენ უცხოეთის იურიდიული კოლეგიის მუდმივი კორესპონდენტები, რომლებსაც საბჭოთა მოქალაქეების მინდობილობით შეუძლიათ დაიცვან მათი ქონებრივი ინტერესები საზღვარგარეთ.

უცხოეთის იურიდიულ კოლეგიას, რომლის მისამართია: ქალაქი მოსკოვი, ტვერის ბულვარი, 13, მიმართავს ასობით საბჭოთა და უცხოელი მოქალაქე და სთხოვს წარმოადგენდეს მათს ქონებრივ, სამემკვიდრეო და სხვა ინტერესებს სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში. უცხოეთის იურიდიული კოლეგია იღებს დავალებებს კლიენტებისაგან და ობიექტურად იცავს მათს კანონიერ ინტერესებს.

ა. ვოლჩკოვი,
უცხოეთის იურიდიული კოლეგიის თავჯდომარე.
გაზეთი „გოლოს როდინი“.

იური ჩიქოვანის ბედნიერი თვე

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების რეფერენტის, თბილისელი მოჭადრაკის, იური ჩიქოვანისათვის იანვარი ბედნიერი თვე აღმოჩნდა. თვის დამდეგს სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ფედერაციის მორიგ სხდომაზე ი. ჩიქოვანს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ამ სხდომაზე თბილისელი მოჭადრაკე მშვენივრად დაახასიათა მსოფლიო ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა, რომელიც იურის პარტიის რეცენზენტი იყო.

ორმა კვირამ გაიარა და ი. ჩიქოვანმა ახალი წარმატება მოიპოვა. იგი დინამოელ მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა, პირველ ადგილზე გავიდა. 13 შესაძლებლობიდან ჩიქოვანმა 10 ქულა შეაგროვა, შვიდი პარტია მოიგო და ექვსი ყაიმით დაამთავრა.

მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს ოსტატობის კანდიდატმა ვიქტორ დავითაშვილმა და პირველთანრიგოსანმა ავთანდილ კირვალიძემ. მათ შეაგროვეს 9-9 ქულა და მოიპოვეს „დინამოს“ სრულიად საკავშირო ჩემპიონატის ნახევარ ფინალში გასვლის უფლება, რომელიც მარტში გაიმართება სოჭში.

ი. ჩიქოვანი მეორე თბილისელ დინამოელ ოსტატ ა. ბუსლაევთან ერთად მიიწვიეს უშუალოდ „დინამოს“ სრულიად საკავშირო პირველობის ფინალში, რომელიც ამ ზაფხულს მოეწყობა კიევში.

✦

ახალმოსახლენი გულგარეთიდან

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის არტელ „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეებმა ისარგებლეს კარგი დარით და მოკლე ვადაში დაამთავრეს ახალი ვენახების გაშენება. გაფართოვდა ვენახები შაშიანისა და ჩუმლაყის კოლმეურნეობებში, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში.

თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო მეურნეობებში მეტად პოპულარულია სუფრის ყურძნის ჯიშები — „ბოლგარი“, „შასლა“, „თავრიზი“, „მუსკატი“. ბულგარეთიდან მიღებულმა ვაზის ნერგებმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ კარგად იხარეს გარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში. ბევრ ვაზზე „ბოლგარის“ მტევნების სიგრძე 30-40 სანტიმეტრს აღწევდა.

სამგორის ველი „ბოლგარის“ მეორე სამშობლო გახდა. ამ ჯიშის ყურძენს აქ ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერს იღებენ. ბულგარული ჯიშების შაქრიანობა ქართულ მიწაზე 22 პროცენტია, მაშინ, როდესაც ბულგარეთში — მხოლოდ 17 პროცენტია. ამას წინათ ბულგარეთიდან ჩამოიტანეს 10 მილიონზე მეტი ვაზის ნერგი, რომელთა შორის ბევრია სუფრის ჯიში. ამ ჯიშის ვაზი უკვე დარგეს ვარკეთილის, დიღმის, ყაჩაონის, არახლოს, ალგეთისა და თელეთის საბჭოთა მეურნეობებში.

ბულგარული ჯიშის ყურძნის ბევრი ნერგი გაიგზავნა სიღნაღის, მცხეთისა და ზესტაფონის რაიონებში.



უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა და კეთილმოწყობილ იქნა შავი ოქროს ქალაქი — ჰიათურა. აშენდა ახალი სკოლები, სადაც ახლა 15.469 მოსწავლეა, ბიბლიოთეკები, სახელმწიფო თეატრის შენობა, მაღაროელთა კულტურის სახლი, პიონერთა სასახლე, ბევრი საბავშვო ბაგა და ბაღი. მარტო შვიდწლედის მანძილზე ჰიათურაში 50 ათასი კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა მშრომელებს... ქალაქს ამშვენებს სატვირთო და სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზების ფართო ქსელი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს მაღაროებს, გამამდიდრებელ ფაბრიკებსა და ქალაქს.

სურათზე: ქალაქ ჰიათურის საერთო ხედი.

რადიო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.